მოსახლეობის ცვლილებების შესახებ დღემდე არსებული სხვადასხვა თეორიები და კონცეფციები ყოველთვის „ცდილობდნენ“ კავშირის დადგენას მოსახლეობის რიცხოვნობასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას შორის. მთავარი აქცენტი სწორედ ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებზე იყო გაკეთებული. ასე ჩამოყალიბდა ადრეული კონცეფციები მალთუსიანიზმი, მოსახლეობის უკმარისობის კონცეფცია, ორგანული თეორია. მოსახლეობის რიცხოვნობის შესწავლა და მასში მიმდინარე ცვლილებების დაკავშირება ეკონომიკურ მოვლენებთან და პროცესებთან სხვადასხვა შინაარს ატარებდა და აისახებოდა კიდევ ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარების და მეცნიერების ნაშრომებში. თითოეულის ჩამოყალიბების და განვითარების წინაპირობები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნებისმიერი ცვლილება რაოდენობისა და გადაადგილების თვალსაზრისით, ყოველთვის უკავშირდება გლობალურ ეკონომიკურ პროცესებს, რაც თავის მხრივ აუცილებლად აისახება როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, ასევე კონკრეტულ ქვეყნებში. შესაბამისად covid-19 -ის გავლენის ხარისხი და შედეგები ჯერ კიდევ ამოუცნობია და უამრავი სიურპრიზებით არის სავსე. მისი, როგორც მიმდინარეობა, განვითარების ხარისხი და შედეგები დამოკიდებულია სწორედ კონკრეტული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, მდგრადობაზე. უკვე ნათლად გამოიკვეთა ამ გლობალური მოვლენის შესაბამისი „პასუხი“ მოსახლეობის რაოდენობისა და სტრუქტურული შემადგენლობის ცვლილებებში, რაც აისახება შობადობის, სიკვდილიანობის, ცხოვრების დონის, შემოსავლების, შიგა თუ გარე მიგრაციის და უამრავი სხვა დემოგრაფიული მოვლენების მაჩვენებლებში. დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს თავისი “თამაშის წესები” აქვს, რომელსაც მოცემული ეკონომიკური სისტემა განაპირობებს, მაგრამ როცა ამ ყველაფერს გლობალური პროცესი განაგებს და კარნახობს, აქ უფრო მძაფრად და მკვეთრად იჩენს თავს მათი ურთიერთ დამოკიდებულების ხარისხი. Covid-19 მოსახლეობის ცვლილებების შესახებ საკმაოდ ბევრი ახალი თეორიების და კონცეფციების შექმნისა და ჩამოყალიბების ახალ აპარეზს იძლევა.

საკვანძო სიტყვები: გლობალური მოვლენები, დემოგრაფიული პროცესები, ეკონომიკური განვითარების დონე, მდგრადობა.

Naira Virsaladze
PhD in Economics, Associate Professor of Akaki Tsereteli State
University,
Associate Professor of Kutaisi University, naira.virsaladze@unik.edu.ge

Malvina Kipiani
Associate Professor of Kutaisi University,
mavlina.kiphiani@unik.edu.ge

DEMOGRAPHIC AND SOCIO-ECONOMIC PROCESSES ASPECTS OF INTERDEPENDENCE

Various theories and concepts of population change have always sought to establish a link between population size and socio-economic development. The main focus was on the socio-economic events characteristic of this epoch. Thus were formed the early concepts of Malthusianism, the concept of population failure, organic theory. The study of the population and the connection of the current changes in it with economic events and processes had a different content and was even reflected in the works of researchers and scientists interested in this issue. The preconditions for the formation and development of each are markedly different from one another. Any change in terms of quantity and movement is always related to global economic processes, which in turn will inevitably affect different parts of the world as well as specific countries. Consequently the degree and effects of Covid-19 are still unknown and full of many surprises. The quality and results of its development as a current depend on the level of socio-economic development of specific countries, on sustainability. The corresponding "response" to this global phenomenon in changes in population size and structural composition, which is reflected in birth rates, mortality, living standards, income, internal or external migration, and many other demographic events, has already become clear. Demographic and socio-economic processes have their "rules of the game", which are determined by the given economic system, but when all this is governed and dictated by the global process, the degree of their interdependence is more pronounced and sharp. Covid-19 provides a new apparatus for the creation and formulation of many new theories and concepts about population change.

Keywords: living standards, income, migration, economic system

გენადი იაშვილი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, genadi_iashvili@hotmail.com

თინათინ იაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი, iashvili.tina@gmail.com

ბესიკ შერაზადიშვილი

საჯარო მმართველობის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, b.sherazadishvili@gtu.ge

საჯარო მმართველობის გამოწვევები კორონავირუსის გავრცელების პირობებში

2019 წლის 31 დეკემბრიდან ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული დაავადება (COVID-19) სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ჰუბეის პროვინციის ქალაქ ვუჰანში ვირუსის პირველი შემთხვევები დაფიქსირდა. პანდემიის დაწყების დღიდან, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ერთი მხრივ, გულისხმობს ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმას და ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების შესაბამისად წარმართვას, ხოლო მეორე მხრივ, ვირუსის გავრცელებით განპირობებული უარყოფითი გავლენის შემცირებას და ამ მიზნით, კერძო სექტორისა და მოქალაქეების მხარდაჭერას. შექმნილმა ვითარებამ გავლენა იქონია როგორც ქვეყნის მოქალაქეების დიდ ნაწილზე, ისე კომპანიებზე.

საჭიროა ბალანსის დაცვა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფასა და ეკონომიკაზე ნეგატიური გავლენის შემცირებას შორის. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესაძლებლობის ფარგლებში ახორციელებს ღონისძიებებს პანდემიით გამოწვეული ნეგატიური პროცესების შესამსუბუქებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული შეზღუდული რესურსებით რაც შეიძლება მეტი ადამიანის და ბიზნესის მაქსიმალური დაფარვა.

განსაკუთრებით აქტუალური გახდა საჯარო მმართველობაში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის საკითხი. „ელექტრონული მთავრობა“ შესაძლებლობას იძლევა, რომ მოქალაქეებმა სახლიდან გაუსვლელად მიიღონ მათთვის საჭირო სხვადასხვა მომსახურებები (მაგ: მომსახურების სააგენტოს საქმიანობა სახელმწიფო სერვისების მიწოდების და დისტანციური მომსახურების სფეროში). უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მმართველობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება ჩვენს დროში, განსაკუთრებით კორონავირუსის გავლენის პირობებში.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია საჯარო მმართველობის გამოწვევების აქტუალური საკითხები კორონავირუსის გავრცელების პირობებში.

საკვანძო სიტყვები: კოვიდ-19; საჯარო მმართველობა; ელექტრონული ტექნოლოგიები; სახელმწიფო; ანტიკრიზისული ღონისძიებები.

Genadi Iashvili

Doctor of Technical Sciences, Professor at the Georgian Technical University, Head of the Department of Public Administration and Electronic Business, genadi_iashvili@hotmail.com

Tinatin Iashvili

Doctor of Social Sciences, Professor of the Faculty of Business Technologies
Georgian Technical University, iashvili.tina@gmail.com

Besik Sherazadishvili

Doctor of Public Administration, Associate Professor of the Faculty of Business Technologies
Georgian Technical University, b.sherazadishvili@gtu.ge

CHALLENGES OF PUBLIC ADMINISTRATION IN TERMS OF SPREAD CORONAVIRUS

Since December 31 2019, the disease caused by the new coronavirus (SARS-CoV-2) (COVID-19) has spread rapidly around the world since the first cases of the virus were reported in Wuhan City, Hubei Province, People's Republic of China. Since the outbreak of the pandemic, the Georgian government has taken steps to prevent the spread of the virus and to meet high standards of economic security, while reducing the negative impact of the virus and supporting the private sector and citizens. The current situation has affected both a large part of the country's citizens and companies.

A balance needs to be struck between ensuring people's lives and health and reducing the negative impact on the economy. It is noteworthy that the state has taken and continues to take measures to alleviate the negative processes caused by the pandemic, even in the face of constraints. It is especially important to cover as many people and businesses as possible with the limited resources.

The issue of introduction of electronic technologies in public administration has become particularly relevant. "E-Government" allows citizens to receive a variety of services they need without leaving home (for example, the activities of the Service Agency in the field of public service delivery). It should be noted that the rapid development of information technology in public administration is an important factor in our time, especially under the influence of the coronavirus.

The present article discusses the current issues of public administration challenges in the context of the spread of coronavirus.

Keywords: Covid-19; Public Administration; Electronic Technologies; State; Anti-Crisis Measures

მცირე და საშუალო ბიზნესში მიზნობრივი პროგრამების გამოყენების პრიორიტეტული მიმართულებები COVID-19-ის პირობებში

საქართველოში ეკონომიკური სუბიექტების 99,7% მცირე და საშუალო საწარმოებს მიეკუთვნება. სწორედ ისინი ქმნიან საზოგადოების ეკონომიკურ ბაზისს, წარმოადგენენ ეკონომიკაში მოსახლეობის ჩართულობის, შემოსავლების გადანაწილებისა და მონეტარული გავლენის ძირითად მასას.

XXI საუკუნის ოციანი წლებისთვის საქართველოს ეკონომიკაში თავისთავად, არსებული მოცემულობის ფონზე გამოიკვეთა პრიორიტეტული მიმართულებები - სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, მშენებლობა, ტრანსპორტი. აქედან, ტურიზმი მოქცეულია განსაკუთრებული ყურადღების არეალში და არსებობს გადაჭარბებული მოლოდინი იმისა, რომ ეკონომიკის ეს დარგი ქვეყნისთვის ყველაზე უფრო შედეგის მომტანია.

ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, თუმცა არა ერთადერთი ან განსაკუთრებულად პრიორიტეტული. ტურიზმის ბიზნესში, ნათლად იკვეთება გლობალიზაციის ტენდენციები, სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა სფეროებში თანამშრომლობის შედეგები. თუმცა, გლობალური კრიზისების დროს ტურისტული ნაკადები კლებულობს, ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდება ფერხდება და მთელი ტურისტული ინდუსტრიის შემოსავლები მკვეთრად მცირდება.

პანდემიის შედეგებმა ნათლად გამოკვეთა თუ რა სახიფათო რისკებს შეიცავს სასურსათო უზრუნველყოფის იმპორტზე დამოკიდებულება. ამიტომ, ქვეყნის რესურსული პოტენციალის, ბუნებრივ-კლიმატური პირობების და სამეურნეო ტრადიციების გათვალისწინებით, აგრარული წარმოების განვითარება ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებს შორის უპირატესი უნდა გახდეს.

შეჯერებული მოსაზრებებითა და პრაქტიკით, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევა: საგადასახადო შეღავათები, დოტაციები, შეღავათიანი საბანკო კრედიტები, მეწარმეობის განვითარების პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, ასევე კანონმდებლობის მიღება და მისი დაცვა. წარმატების უზრუნველსაყოფად გამოიყენება ამ მიმართულებების ცალკეული და კომბინირებული ვარიანტები. მათი მიზანშეწონილობა განისაზღვრება კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: პანდემია; პრიორიტეტი; კრედიტი; დოტაცია; მიზნობრივი პროგრამა

Natia Kurdgelia

Doctoral student at Kutaisi University,

natiakurdgelia1976@gmail.com

PRIORITY AREAS OF USING THE TARGETED PROGRAMS IN SMALL AND MEDIUM ENTERPRISES IN THE FACE OF THE COVID19 PANDEMIC

99.7% of economic entities in Georgia are small and medium enterprises. They form the economic foundations of society, and they make up the bulk of the population's involvement in the economy, income distribution and monetary influence.

By 2020, in the economy of Georgia, priority areas were identified - agriculture, tourism, construction industry and transport. Of these, tourism is the focus special attention and there are the exaggerated expectations that this sector of the economy will be most productive for the country.

Tourism development is one of the important directions, but not the only one or the particularly priority one. In the tourism business, clear trends of globalization emerge, as well as the results of cooperation of States in the political, economic, cultural and other spheres. However, during the global crises, tourist flows are declining, the delivery of the tourism service packages is being hampered, and revenues of the entire tourism industry are falling sharply.

The pandemic consequences have clearly highlighted the dangerous risks associated with dependence on food imports. Therefore, given the country's resource potential, natural and climatic conditions and economic traditions, the development of agricultural production should be at the top of priorities of economic development.

According to the agreed views and practices, priority areas of government support for the development of small and medium enterprises are: tax incentives, grants, preferential bank loans, design and implementation of the entrepreneurship development programs, as well as the adoption and implementation of legislation. Separate and combined options of these directions are used to ensure the success in this field. Their advisability is determined based on the specific circumstances.

Key words: pandemic; priority; loan; grant; targeted program.

ნანა რუსაძე

საჯარო მმართველობის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, nana.rusadze@atsu.edu.ge

ეკატერინა ზაქარაძე -

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის
და პოლიტიკის სკოლის მიწვეული ლექტორი, ekaterine.zakaradze02@gruni.edu.ge

ანა ბარათაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი, baratashvillian@gmail.com

COVID 19-ის გავლენა საჯარო მომსახურებების მიწოდებაზე (თვითმმართველობის კონტექსტი)

ბოლო ორი წელი კაცობრიობის ისტორიისათვის შეიძლება დავახასიათოთ, როგორც კორონავირუსის პანდემიის გავრცელებით გამოწვეული სირთულეების ერის დასაწყისი. პანდემიამ დაარღვია ყველა საზღვარი (პოლიტიკური, იურიდიული, სახელმწიფო) და ტრანსსასაზღვრო გლობალური კრიზისის დასაძლევად აუცილებელი გახდა ყველა დონის სახელმწიფო ორგანოთა და კერძო სექტორის თანამონაწილეობა.

პანდემია, ადამიანთა ჯანმრთელობასთან ერთად, ძალუმად უტევს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროს და ეკონომიკური დეპრესიის, უმუშევრობის და სიღარიბის ზრდის, სოციალური კონტაქტების შეზღუდვის და სხვა მრავალი ნეგატიური მოვლენის აშკარა საფრთხეებს შეიცავს. აღნიშნული საფრთხე სახელმწიფო და მუნიციპალურ მენეჯმენტს და აქედან გამომდინარე, მათ მიერ განხორციელებულ საჯარო მომსახურებებსაც ეხება. სამწუხაროდ, ვაჭრობისა და განათლებისაგან განსხვავებით, ამ ტიპის მომსახურებების დიდწილად გაციფრულება შეუძლებელია.

არსებულ ვითარებაში მოქალაქეების და ბიზნესის წარმომადგენლების ყურადღება მიპყრობილია სახელმწიფოს ქმედებებისაკენ, რამდენადაც მისმა საქმიანობამ და მენეჯმენტის უნარმა გაცილებით მეტი ფუნქცია შეიძინა. მოქალაქეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, პანდემიის პირობებში საჭიროებს ისეთი მიდგომების გამოყენებას, რომლებიც ახალ ტექნოლოგიებს, ურთიერთქმედების ახალ ფორმებს და მუშაობის ინოვაციურ მეთოდებს ემყარება.

მიგვაჩნია, რომ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს რეგიონულ და გლობალური პარტნიორობას, მუნიციპალური ორგანოების პრაქტიკული გამოცდილების შესწავლას ინოვაციების გამოყენების და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით.

აუცილებელია საჯარო მომსახურებების მიწოდების უწყვეტობის შენარჩუნება. ამისათვის შეიძლება შეიქმნას იმ მოხელეთათვის მუშაობის ახალი მოდელების და ვარიაციების შემუშავების საჭიროება, რომლებიც აღნიშნულ მომსახურებების უშუალო მიმწოდებლები არიან.

საჭიროა არასტანდარტული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება და დამუშავება გადაწყვეტილებებისათვის, გამოკითხვების ჩატარების ორგანიზება. ამით უკეთ მოხდება ბიზნესისა და მოქალაქეების მაქსიმალური მხარდაჭერის სამიზნეების და მოცულობების დადგენა.

საკვანძო სიტყვები: კორონა ვირუსი; საჯარო მომსახურება; საკუთარი უფლებამოსილება; კრიზისი; მუნიციპალიტეტი.

Nana Rusadze

Doctor of Public administration, Associate Professor of
Akaki Tsereteli State University, nana.rusadze@atsu.edu.ge

Ekaterina Zakaradze

Doctor of Public administration, Invited Lecturer at Grigol Robakidze University,
School of politics, ekaterine.zakaradze02@gruni.edu.ge

Ana Baratashvili

Master of social sciences, baratashvilian@gmail.com

IMPACT OF COVID 19 ON PUBLIC SERVICE SUPPLY **(In the context of local self-government)**

The last two years in the history of mankind can be characterized as the beginning of difficulties caused by the spread of the coronavirus pandemic. The pandemic has broken all boundaries (political, legal, and state). In order to overcome the trans boundary global crisis, the participation of all levels of government and the private sector has become necessary.

The pandemic, along with human health, attacks the socio-economic sphere and poses obvious threats of economic depression, rising unemployment and poverty, limited social contacts, and many other negative events. This threat affects the state and municipal management and, consequently, the public services provided by them. Unfortunately, unlike trade and education, these types of services are largely impossible to digitize. In the current situation, the attention of citizens and business representatives is drawn to the actions of the state, as its activities and management skills have acquired much more function. Meeting the needs of citizens in a pandemic requires the use of new technologies, new forms of interaction and innovative methods of work.

We believe that great importance should be paid to regional and global partnerships to learn from the practical experience of municipal authorities in terms of applying innovations and making optimal decisions. It is essential to maintain the continuity of public service delivery. This may create the need to develop new working models and variations for officials who are direct providers of these services. It is necessary to prepare and process non-standard statistical information for decisions, to organize surveys. This will better set the targets and scope of maximum support for businesses and citizens.

Keywords: Corona virus; Public services; Own authority; Crisis; Municipality.

გურამ უფლისაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, guram.uphlishashvili@unik.edu.ge

შემოსავლების სამსახური პანდემიურ პერიოდში

2020 წლის დასაწყისიდანვე მსოფლიო მნიშვნელოვანმა კრიზისმა მოიცვა, რომელმაც კაცობრიობა მწვავე და ამავე დროს არაორდინალური სიმძნელების წინაშე დააყენა. ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი პრობლემები გამოიწვია საქართველოშიც. საფრთხე შეეხო არამხოლოდ ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. პანდემიამ საგრძნობი რყევები გამოიწვია საქართველოს ეკონომიკაშიც, რისი დასტურიც გახდა 2020 წელს ეკონომიკური კლების 6,2%-იანი მაჩვენებელი.

მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა სახელმწიფო ფინანსების სფერო. იმის გათვალისწინებით, რომ გაიზარდა გაუთვალისწინებელი ხარჯები - როგორც ჯანდაცვის, ისე ანტიკრიზისული ღონისძიებების კუთხით, საფრთხის წინაშე აღმოჩნდა აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად აუცილებელი სახსრების მობილიზების საკითხი, მით უმეტეს პანდემიით გამოწვეული ეკონომიკის რეცესიის ფონზე.

უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს ფისკალურმა ორგანოებმა მთლიანობაში წარმატებით შეძლეს წარმოქმნილი არაორდინალური პრობლემების დაძლევა. ეს აისახა მ.შ. სახელმწიფო შემოსავლების დინამიკაზე - მიუხედავად 2020 წელს მობილიზებული გადასახადების გარკვეული შემცირებისა წინა წელთან შედარებით (-3,97%), უკვე 2021 წლის პირველი შვიდი თვის შედეგებით სახეზეა საგადასახადო შემოსავლების გაცილებით მეტი მასშტაბებით ზრდა (12,96%-ით).

აღსანიშნავია, რომ თავისი პირდაპირი ფუნქციების გარდა, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მოუხდა თავის თავზე ეკისრა სხვა, მისთვის არადამახასიათებელი ფუნქციების აღსრულებაც, მ.შ. პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების მართვის პროცესში. ამასთან, მის მიერ განხორციელებული ღონისძიებები და გადასახადის გადამხდელებისათვის შეთავაზებული ახალი (მ.შ. დისტანციური) სერვისები ძირითადად მაინც ორიენტირებული იყო გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებების შემსუბუქებაზე და მათი ბიზნესის ხელშეწყობაზე. განხორციელებული ღონისძიებების დახასიათების გარდა წარმოდგენილია მოსაზრებები ფისკალური სფეროს საქმიანობის სრულყოფის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, სახელმწიფო ფინანსები, ფისკალური სფერო, გადასახადები.

Guram Uplisashvili
Doctor in Economics, Associate Professor
of Kutaisi University, guram.uphlishashvili@unik.edu.ge

THE REVENUE SERVICE DURING THE PERIOD OF A PANDEMIC

Since the beginning of 2020, the world has witnessed a crisis that has left humanity facing severe and at the same time extraordinary difficulties. The pandemic caused by the new coronavirus has caused significant problems in Georgia as well. The threat affected not only the life and health people. The pandemic also caused the significant fluctuations in the Georgian economy, as shown by the 6.2%-rate of economic decline in 2020.

The public finance domain faced significant challenges. Given that unforeseen expenses increased both in terms of health care and anti-crisis measures, the issue of mobilizing the necessary funds to finance these measures was threatened, especially against the backdrop of the economic recession caused by the pandemic.

It is worth to note that the fiscal authorities of the State as a whole have been able to successfully overcome the emerging non-ordinary problems. This was also reflected in the state revenue dynamics - despite a certain reduction in taxes mobilized in 2020 compared to the previous year (-3.97%), the results of the first seven months of 2021 already show a much larger increase in tax revenues (by 12.96%).

It should be noted that in addition to its direct functions, the revenue service of the Ministry of Finance had to perform other functions that are not typical of this institution, including In the management of pandemic-related restrictions. However, the measures taken by them and the new (including remote) services offered to taxpayers were still mainly focused on mitigation of taxpayers' obligations and promoting their business. In addition to the description of the implemented measures, opinions are presented with a view to enhancing the activities in the fiscal domain.

Key words: pandemic; public finance; fiscal domain; taxes.

რატი ქირია
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი, rati.kiria@btu.edu.ge

COVID-19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ანალიზი და ეკონომიკის დარგების აღდგენის გზები

ნაშრომი დაფუძნებულია საერთაშორისო ავტორიტეტებულ მასალების კვლევაზე, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა სხვადასხვა და მნიშვნელოვანი პროცესებზე დასკვნების გამოტანა.

ნაშრომში განხილულია კოვიდ პანდემიის გავრცელების გლობალურ მიზეზებზე და მოყვანილია შესაბამისი თანაფარდობითი მაგალითები ქვეყნების, კონტინენტების სახით. ამასთან გამოკვეთილია ის ოთხი მთავარი მიზეზი რის გამოც შესაძლებელი ხდება დავადგინოთ თუ რატომ შეეხო პანდემია ზოგიერთ ქვეყანას უფრო მძიმედ და მსუბუქად.

ნაშრომი ეხება პანდემიის დროს შექმნილ ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიც არის გლობალური უმუშევრობის დონე, და რეცესია, რომლის ფაზაშიც მსოფლიოს დიდი ნაწილი იმყოფება. ასევე განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიც არის ტურიზმი, კომერციული ფრენები და ფარმატევტული კომპანიების მდგომარეობა.

კვლევაში განხილულია საფონდო ბირჟებზე არსებული მდგომარეობა და პანდემიის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები მსოფლიოს სხვადასხვა ბაზრებზე და ამისთვის შედარებულია გლობალური ინდექსების 2020 წლის დასაწყისიდან დღემდე.

დაბოლოს, ეკონომიკის აღდგენის რეალისტური გზები და სამუშაო პროცესები, რომლის დაწყებაც ეტაპობრივად საჭიროა, რომ მოხდეს უმოკლეს დროში ზარალის ეფექტური აღმოფხვრა და ცხოვრების უკვე ახალ რეალობაში გაგრძელება.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, საფონდო ბირჟები, ეკონომიკა, აღდგენა.

ANALYSIS OF THE ECONOMIC CRISIS AFFECTED BY COVID-19 AND THE WAYS TO RECOVER ECONOMIC FIELDS

The work is based on the research of international authoritative materials. Therefore, it is possible to conclude different and essential processes.

The work is discussed on the global causes of the Covid Pandemic and the relevant ratio examples for countries and continents. In addition, the four main reasons are possible to determine why the pandemic touched some countries more critically and lightly.

The work deals with vital problems generated during the pandemic, such as global unemployment levels and a recession in which a large part of the world is in an ongoing phase. It is also considered an important sector, such as tourism, commercial flights, and pharmaceutical companies.

The study discusses the situation on stock exchanges and economic problems caused by the pandemic in different world markets. It is comparable to the beginning of 2020 to the present.

The end of the work is about pragmatic roads and working processes to restore the economy, which is gradually needed. Acceleration of operations and effective eradication of losses in the shortest possible time is the only clarification that life is continued in a new reality.

Key words: pandemic; stock market; economy; recovery.

გიორგი ღავთაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფესორი, george.gavtadze@atsu.edu.ge

აზა იფშირაძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის

უნივერსიტეტის პროფესორი, aza.ipshiradze@unik.edu.ge

ნიკო ჩიხლაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი, nikoloz.chikhladze@unik.edu.ge

რეგიონული საინვესტიციო რისკი და საინვესტიციო მიმზიდველობა განუსაზღვრელობის პირობებში

ნებისმიერი ქვეყნის თუ მისი ცალკეული ტერიტორიული წარმონაქმნის საინვესტიციო ბაზრის ეფექტიანობა მრავალ შიდა და გარე ფაქტორზეა დამოკიდებული. აღნიშნულზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეებზე განვითარებული პროცესები. რეგიონული საინვესტიციო რისკიც და საინვესტიციო მიმზიდველობაც, როგორც მრავალკომპონენტური ცნებები, მნიშვნელოვან ზეგავლენას განიცდიან, როგორც მსოფლიო და ქვეყნის მასშტაბით, ისე კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში არსებული ვითარებიდან გამომდინარე.

ჩვენს მიერ, გასულ პერიოდში, კვლევები ტარდებოდა ჩვეულებრივ გარემოსა და ვითარებაში და შესაბამისი რეკომენდაციებიც შემუშავდა. ანალიზი განვახორციელდა ორჯერ, 10 წლიანი ინტერვალით. შედეგები შეჯამდა და გაკეთდა შედარებითი ანალიზიც, რამაც შერჩეული მეთოდების, ჩვენი მსჯელობის სისწორეში და დასკვნების ლოგიკურობაში დარგვარწმუნა. თუმცა, უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა არამხოლოდ სამედიცინო თუ ეკონომიკური სფეროები, არამედ კვლევითი სივრცეც. მეცნიერები, რომლებიც მანამდე უცნობ ახალ ფენომენს აკვირდებიან და სწავლობენ მეტ-ნაკლები წარმატებით, ვეღარ იყენებენ ადრე მიღებულ შედეგებს დინამიკური ანალიზისათვის და ფაქტობრივად, განუსაზღვრელობის პირობებში იძლევიან რეკომენდაციებს.

ზოგადად, რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობა შეიძლება განისაზღვროს, ორი ძირითადი პარამეტრით. ესენია: საინვესტიციო პოტენციალი და საინვესტიციო რისკი. თითოეული მათგანი არაერთ კომპონენტს შეიძლება ითვალისწინებდეს, რომელთა ჩამონათვალს, პანდემიური ვითარებისა და „ლოქდაუნების“ გამო, დაემატა არაერთი ახალიც. მაგალითად, ეპიდვითარების მართვის ხარისხი, სახელმწიფოს მარეგულირებელი კანონმდებლობა და ბიზნესის მხარდაჭერი ქმედებები და ა.შ.

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. მიმდინარე ეტაპზე, ისინი ფაქტობრივად, განუსაზღვრელობაში გადაიზარდა, რაც აიძულებს ინვესტორებს რეგიონის საინვესტიციო პოტენციალიც პერსპექტივაში შეაფასონ, როგორც გაურკვეველი. ამ თვალთახედვით რეგიონების შეფასება და ურთიერთშედარება ნათელ წარმოდგენას შეუქმნის, ერთი მხრივ, ადგილობრივ ხელისუფლებას პრობლემის მასშტაბისა და სტრუქტურის შესახებ და, მეორე მხრივ, დაეხმარება ინვესტორებს რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობისა და პერსპექტივის განსაზღვრაში.

საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო მიმზიდველობა; განუსაზღვრელობა; საინვესტიციო ბაზარი; რეგიონული რისკი.

George Gvartadze

Doctor of Economics, Professor of Akaki
Tsereteli State University, george.gvartadze@atsu.edu.ge

Aza Iphshiradze

Doctor of Economics, Professor of
Kutaisi University, aza.ipshiradze@unik.edu.ge

Niko Chikhladze

Doctor of Economics, Professor of
Kutaisi University, nikoloz.chikhladze@unik.edu.ge

REGIONAL INVESTMENT RISK AND INVESTMENT ATTRACTIVENESS UNDER CONDITIONS OF UNCERTAINTY

The efficiency of the investment market of any country or its individual territorial unit, depends on many internal and external factors. Processes developed at the national or international levels have a significant impact on this. Both, “Regional investment risk” and “Investment attractiveness”, as multi-component concepts, are under the significant impact from global and national environment, as well as from the situation in a particular territorial unit.

In this regard, we have conducted studies in the past in the usual environment and circumstances, and relevant recommendations have been developed. The analysis was performed twice, at 10-year intervals. The results were summarized and a comparative analysis was made, which convinced us of the correctness of the selected methods and our reasoning and the logic of the conclusions.

However, the developments of the last year and a half have posed new challenges not only in the medical or economic fields, but also in the research space. Scientists who observe a previously unknown new phenomenon and study it more or less successfully can no longer use previously obtained results for dynamic analysis and, in fact, make recommendations under conditions of uncertainty.

In general, the investment attractiveness of a region can be determined by two main parameters. These are: investment potential and investment risk. Each of them can include a number of components, the list of which, due to the pandemic situation and "lockdowns", a number of new ones have been added, for example, the quality of epidemiological management, state regulatory legislation and business support actions, etc.

Risks related to investment activities have always been significant. At the current stage, they have, in fact, escalated into uncertainty, forcing investors to assess the investment potential of the region in the long run as uncertain. Assessing and comparing regions from this perspective will provide a clear idea, on the one hand, of the local government on the scale and structure of the problem and, on the other hand, help investors determine the investment attractiveness and prospects of the region.

Keywords: investment attractiveness; Uncertainty; Investment market; Regional risk.

გოდერძი შანიძე
ბიზნესისა და მართვის დოქტორი
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, goderdzi.shanidze@unik.edu.ge

საქართველოში ტურისტულ ბიზნესს, სახელმწიფოს მხრიდან სტიმულირება აუცილებლად სჭირდება

ტურისტული ბიზნესის სტიმულირების საკითხის გარკვევა მაკმაოდ აქტუალური საკითხია თანამედროვე პირობებში. საქართველოში ტურისტული ბიზნესის განვითარებას ნამდვილად აქვს პერსპექტივა და ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის.

საერთაშორისო ორგანიზაციების (UNWTO, IATA, ICAO, IMF) პროგნოზებით საერთაშორისო მოგზაურობის ნაკადები დაახლოებით 3-4 წელიწადში დაუბრუნდება 2019 წლის დონის მაჩვენებლებს. ამ პერიოდში კი, არსებული სიტუაცია უფრო პრიორიტეტულად აქცევს შიდა ტურიზმის სახელმწიფო სტიმულირებას. WTTC კვლევის მიხედვითაც ქვეყნის შიგნით მოგზაურობას ტურისტების საშუალოდ 58% გეგმავს. შესაბამისად UNWTO იძლევა რეკომენდაციას შიდა ტურისტული ნაკადების სტიმულირებისათვის.

კვლევის შედეგები შეიძლება ჩამოვყალიბოდ შემდეგნაირად - სახელმწიფოს მხრიდან საჭირო ღონისძიებების გატარებისას აუცილებელია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება და გაზიარება. საინტერესოა უცხოური ქვეყნების შემდეგი გამოცდილების გაზიარება:

1. ვაუჩერების სისტემა - როგორც ცნობილია საგადასახადო შეღავათები, საბანკო ვალდებულებების გადავადება და სხვა მსგავსი ღონისძიებები, არ იწვევს ფულადი სახსრების მიმოქცევის გაზრდას და ეკონომიკას ვერ ასტიმულირებს, ეს უფრო სოციალური დახმარების ფორმებია. სწორედ ამ ფონზე უფრო ოპტიმალურია, ვაუჩერული სისტემის დანერგვა, რომელიც ითვლისწინებს, რომ საქართველოს მოქალაქეებს გაუზარდოს მსყიდველუნარიანობა შიდა ტურისტული პროდუქციის შესაძენად. ამ მხრივ არსებობს წარმატებული მაგალითები - ხორვატიის, სლოვენის, პოლონეთის, რუმინეთის, იტალიის და ა.შ.
2. განათლების სისტემისგან შიდა ტურიზმის მხარდაჭერა ისეთი აქტივობით, როგორიცაა მაგალითად, სასწავლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და შემეცნებით ტურები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში;
3. ტურიზმის მხარდაჭერის მიზნით სამთავრობო ღონისძიებების - შეხვედრები/კონფერენციები და ა.შ. ორგანიზება სხვადასხვა რეგიონში.
4. საჯარო სექტორის სამსახურებში თანამშრომლებისთვის, შიდა ტურიზმის საგზურების შეთავაზება გარკვეული ფასდაკლებით.
5. ნაკლებად ცნობილი ან სხვადასხვა ტურისტულ პროდუქტების (მაგალითად, ფრინველებზე დაკვირვება, სოფლის ტურიზმი, ეკო-ტურიზმი, გასტრონომიული ტურიზმი და ა.შ.) პოპულარიზაცია და გაცნობა საზოგადოებისთვის.

საქართველოში განხორციელდა სხვადასხვა პროგრამები ტურისტული ბიზნესის ხელშესაწყობად, რომელთა უმეტესობა იყო სოციალური მიმართულების, თუმცა უფრო კონკრეტული ღონისძიებების გატარება (ვაუჩერული სისტემა, ნაკლებად ცნობილი ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაცია და ა.შ.) კიდევ უფრო დადებითად წაადგებოდა აღნიშნული ბიზნესის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული ბიზნესი; სახელმწიფო პროგრამები; ტურისტული პროდუქტები; ტურისტული აქტივობა.

TOURISM BUSINESS IN GEORGIA DEFINITELY NEEDS STIMULATION FROM THE STATE

Clarifying the issue of stimulating the tourism business is a rather topical issue in modern conditions. The development of tourism business in Georgia really has a perspective and it is one of the important opportunities for the development of the country's economy.

Due to the forecasts of international organizations (UNWTO, IATA, ICAO, IMF), international travel flows will return to 2019 levels in about 3-4 years. During this period, the current situation makes the issue of stimulating domestic tourism by the state more advantageous.

According to a WTTC survey, an average of 58% of tourists plan to travel within the country. Accordingly, the UNWTO makes a recommendation to stimulate domestic tourism flows, it is in this matter of stimulation that the state must play a major role and take the necessary measures with an orderly, systematic approach. The results of the research can be summarized in the following way - when taking the necessary measures by the state, it is essential to take into account and share the experience of different countries. It is interesting to share the following experiences of foreign countries:

1. Voucher system - as it is known tax incentives, deferral of bank liabilities and other similar measures, does not lead to an increase in cash flow and can not stimulate the economy, these are more forms of social assistance. Due to this background, it is more optimal to introduce a voucher system, which aims to increase the purchasing power of Georgian citizens to purchase domestic tourism products. There are successful examples of Croatia, Slovenia, Poland, Romania, Italy, etc.
2. Support of domestic tourism from the education system with such activities as, for example: educational and cognitive tours of educational institutions in different regions of Georgia;
3. Government activities in support of tourism - meetings / conferences, etc. To organize them in different regions.
4. To offer domestic tourism trips to the employees in public sector services at a certain discount.
5. Promoting and introducing less known or different tourism products (eg bird watching, rural tourism, eco-tourism, gastronomic tourism, etc.) to the public.

In conclusion, we can say that various programs have really been implemented in Georgia to promote the tourism business, most of which were socially oriented. However, taking more specific measures (voucher system, promotion of less-known tourism products, etc.) would be even more positive for the development of this business.

Keywords: Tourism Business; State Programs; Tourism Products; Tourism Activity.

ცირა ცეცხლაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის,
ასისტენტ-პროფესორი, tsetskhladze.tsira@bsu.edu.ge

ნინო ხახუბია

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი, nino.khakhubia@gruni.edu.ge

მთის ტურიზმის პოტენციალი აჭარაში და მისი მნიშვნელობა პოსტპანდემიური ტურიზმის რეაბილიტაციის პროცესში

ტურიზმი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მისი პრიორიტეტულობა ქვეყნის ეკონომიკური თუ სოციალური თვალსაზრისით, განსაკუთრებით დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაზე. ყოველივე ამის ხელშემწყობი ფაქტორი კი არის ის, რომ საქართველო გამოირჩევა მდიდარი და ამავდროულად ბევრი აუთვისებელი ტურისტული რესურსებითა და დესტინაციებით. სწორედ ესაა მთავარი სავიზიტო ბარათი საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე.

მიმდინარე პერიოდში, როცა პანდემიასთან ერთად მსოფლიო ეკონომიკამ მასთან არსებობის ადაფტირება შეძლო, ტურიზმი როგორც ეკონომიკის სწრაფად აღდგენადი დარგი საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების მთავარ მასტიმულირებელ ფაქტორად მოგვევლინა.

პანდემიამ ადამიანის დასვენების ხასიათი შეცვალა და მისი ბუნებასთან სიახლოვე უფრო მჭიდრო გახადა. მთა, ბუნება და ზოგადად რეკრეაციული ტურიზმი მიმდინარე და პოსტპანდემიური პროცესის მნიშვნელოვან თანმდევ ფაქტორად გადაიქცა. ამ მიმართულებით განსაკუთრებული დაინტერესება მთის ტურიზმის განვითარების კუთხით უჭირავს აჭარის რეგიონს მისი თვალმწარმტაცი ლანდშაფტითა და ტურისტული რესურსებით, რაც როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების მხრიდან მნიშვნელოვან დაინტერესებას იწვევს. ამაზე მეტყველებს რეგიონში მიმდინარე განხორციელებული წარმატებული ბიზნეს იდეები საოჯახო სასტუმროებისა და კემპინგის ტიპის განთავსების ადგილების სახით, რომელმაც თავისი იდეებისა და სერვისის ხელმისაწვდომობის კუთხით მთის ტურიზმი აჭარის რეგიონში უფრო მიმზიდველი გახადა ტურისტებისთვის.

საკვანძო სიტყვები: მთის ტურიზმი, პანდემია, რეკრეაციული ტურიზმი.

Tsira Tsetskhladze

Assistant Professor of Batumi Shota Rustaveli
State University tsetskhladze.tsira@bsu.edu.ge

Nino Khakhubia

Associate Professor of Grigol Robakidze
University, nino.khakhubia@gruni.edu.ge

POTENTIAL OF MOUNTAIN TOURISM IN ADJARA AND ITS IMPORTANCE IN THE PROCESS OF POST-PANDEMIC TOURISM REHABILITATION

Tourism is one of the most important sectors of our country's economy. Its priority, both from the economic or social point of view, has a particularly positive impact on the living standards and daily life of the local population in the country. The contributing factor to all this is that Georgia is distinguished by rich and at the same time many untapped tourist resources and destinations. This is the main business card in the international tourism market.

In the current period, when the world economy adapts to the pandemic, tourism as a rapidly recovering sector of the economy has emerged as a major stimulus for the recovery of the Georgian economy.

The pandemic has changed the nature of human recreation and made its proximity to nature closer. Mountains, nature and recreational tourism, in general, have become an important accompanying factor in the current and post-pandemic process. In this regard, the Adjara region is a particularly interesting example regarding the mountain tourism development with its picturesque landscape and tourist resources, which is of great interest to both domestic and international visitors. This is evidenced by the ongoing successful business ideas in the region by the means of family hotels and camping accommodation, which has made mountain tourism in the Adjara region more attractive to tourists in terms of its ideas and access to services.

Keywords: Mountain tourism, pandemic, recreational tourism.

რამინ ცინარიძე

ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელწმიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ramin.tsinaridze@bsu.edu.ge

ლაშა ბერიძე

ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი, წმ.ტბელ აბუსერისძის
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, lberidze@cu.edu.ge

ლევან ცეცხლაძე

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
levani.tsetskhladze950@eab.tsu.edu.ge

რეფინანსირების განაკვეთი და მისი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე კოვიდ- პანდემიის პირობებში

მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი უმნიშვნელოვანესი და ძირითადი ინსტრუმენტია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეტაპზე რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა წარმოადგეს სადისკუსიო საკითხს, მაინც ქვეყნების უმრავლესობა ცდილობდა და ცდილობს მონეტარული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად კვლავ რეფინანსირების განაკვეთი გამოიყენონ. ეს მექანიზმი კიდევ უფრო აქტუალური და სადისკუსიო გახდა კოვიდ-პანდემიის პირობებში. საქართველოს პრაქტიკა აჩვენებს, რომ მიუხედავად რეფინანსირების განაკვეთის ძირითად მონეტარულ ინსტრუმენტად აღიარებისა, ის სრულად მაინც ვერ ახდენს ინფლაციის, ეროვნული ვალუტისა გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთების კომპენსირებას. აღნიშნული ცნობილია, როგორც განუხორციელებელი ტრილემის სახით და პრაქტიკულადაც მისი განხორციელება შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია, ამ სამი ფაქტორიდან, რომელიმე ორის რეგულირება ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის გატარებით და მის საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკის ეტაპობრივი ზრდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი, მიუხედავად იმისა, რომ რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებას აქტიურად იყენებს თითქოსდა ფასების სტაბილურობის შენარჩუნებისათვის, ეს არცთუ ხშირად კარგად გამოსდის. ამასთან, რეფინანსირების განაკვეთის ზრდის შედეგად ფასების მოთოკვის მცდელობა და სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა კიდევ უფრო მეტი წნეხის მომტანი ხდება ბიზნესისთვის და მოსახლეობისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რეფინანსირების განაკვეთის დადგენის მეთოდოლოგია, რომელიც შეიძლება ითქვას საკმაოდ ბუნდოვანია, მაგალითადვე ვხდებით ძირითად განმარტებებს, თუ რით ხელმძღვანელობს ეროვნული ბანკი ამ განაკვეთის დადგენისას (უცხოური პრაქტიკის მიხედვით ზემოთ აღნიშნული ეკონომეტრიკული ანალიზის საფუძველზე ხორციელდება). ზოგადად, უცხოური პრაქტიკა ცდილობს ასეთი საპროცენტო განაკვეთის დათვლის მეთოდოლოგიაში სხვადასხვა ფაქტორების ჩართვას - თუნდაც ეროვნული ვალუტის დევალვაცია.

აღნიშნული პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე ნაშრომის მიზანია შეფასდეს რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებების ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე კოვიდ-პანდემიის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: პანდემია; მონეტარული პოლიტიკა; რეფინანსირების განაკვეთი; ინფლაცია.

Ramin Tsinaridze

Doctor of Business Administration, Assistant Professor at Batumi
Shota Rustaveli State University, ramin.tsinaridze@bsu.edu.ge

Lasha Beridze

Doctor of business Administration, Associate Professor
at St.Tbel Abuseridze University, lberidze@cu.edu.ge

Levan Tsetskhladze

PhD student of Ivane Javakhishvili Tbilisi State
University, levani.tsetskhladze950@eab.tsu.edu.ge

REFINANCING RATE AND ITS IMPACT ON THE COUNTRY'S ECONOMY IN THE CONTEXT OF THE COVID PANDEMIC

Monetary policy (refinancing) rate is the most important and basic tool for conducting monetary policy. Although setting a refinancing rate at the present stage has been a matter of debate, most countries have tried and continue to use the refinancing rate as a key instrument of monetary policy. This mechanism has become even more relevant and debatable in the context of the Covid-Pandemic. Georgian practice shows that despite the recognition of the refinancing rate as the main monetary instrument, it still can not fully offset inflation, national currency and interest rates.

In principle, this is known as an unrealized trilogy and is practically impossible to implement, but it is possible to regulate any of these two factors through effective monetary policy and the gradual growth of the country's economy based on it. Although National Bank of Georgia actively uses change in refinancing rates as if to maintain price stability, it does not often work well. At the same time, rising refinancing rates and rising interest rates are putting even more pressure on businesses and households.

It should also be noted about the methodology for determining the refinancing rate, which can be said to be quite vague, for example we cannot get the basic explanations of how the National Bank guides in setting this rate (according to foreign practice is based on the above econometric analysis). however, foreign practice tries to include various factors in the methodology of calculating such interest rates - even the devaluation of the national currency.

Accordingly, due to the actuality of this problem, the aim of the paper is to assess the impact of changes in the refinancing rate on the economy of Georgian in the context of the covid pandemic

Keywords: pandemic; monetary policy; refinancing rate; inflation

ზაზა წვერავა

საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი
ztsverava@gmail.com

ლაშა წვერავა

